კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მეხუთე კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ნიკო კეცხოველის მოთხრობა ,, ია და ჭიანჭველები“.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფ ინე დ უ ს ვე ბგვე რ დ ს)	დაზოგვა, ბიუჯეტირება ,დაგროვება .ფული
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	ვარაუდების გამოთქმა, დისკუსია, სწავლა გაჩერებებით , ზეპირი პრეზენტაცია. ასოციაციური სქემა. ჩავთვალე, რომ შერჩეული მეთოდები დამეხმარებოდა ტექსტის შინაარსის ფინანსური განათლებასთან დაკავშირებაში.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	გაკვეთილი ჩავატარეთ ორ ლოკაციაზე : ისტ-ის კაბინეტში, რადგან გვჭირდებოდა კომპიუტერი და პროექტორი , იქვე გავმართეთ დისკუსია. პირველი სლაიდის დანახვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების უმრავლესობას არ ახსოვდა მოთხრობა. ვარაუდიც გამოთქვეს, რომ იას შეჭამდა ჭიანჭველა . სლაიდების ნახვის შემდეგ გავმართეთ დისკუსია. მოსწავლეებმა უპასუხეს სლაიდებზე მოცემულ კითხვებს: დაზოგვაზე, დაგროვებაზე, ფულზე, ბიუჯეტზე დააფიქსირეს საკუთარი მიგნებები და დასკვნები. შემდეგ გადავინაცვლეთ საკლასო ოთახში. დაფაზე გაკრული იყო FinEdu-ფინედუს ლოგო და ,,ჭიანჭველა გროვიას“ სურათები. ვისაუბრეთ მათ შესახებ. სკოლა აქტიურად არის ჩართული პროექტში ,, მოიწვიე ფინედუ კლასში“ და რამდენჯერმე ვუმასპინძლეთ. მოსწავლეებს გადაეცათ ლიტერატურა ,, მოგზაურობა ფულის სამყაროში “ , ,, ფინანსური განათლების სახელმძღვანელო“ და ,,დაგროვების ამბები“. მინდა, წიგნი მხოლოდ თაროზე დადებული მაკულატურა არ იყოს და გაკვეთილისთვის დავავალე სახლიდან მოეტანათ ეს წიგნებიც. დავალებები შევარჩიე ისე, რომ მოსწავლეებს გაკვეთილზე დასჭირდათ აღნიშნული ლიტერატურის გამოყენება. ,, სწავლე გაჩერებებით“. გვქონდა სამი ,, გაჩერება “, და ყველა გაჩერებაზე გარკვეული დავალება უნდა შეესრულებინათ წიგნში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით , ბოლოს გააკეთეს პრეზენტაციები. ფინანსური ლექსიკონის გამოყენებით უნდა შეევსოთ კროსვორდი. სწრაფად მიხვდნენ, რომ თუ სწორად შეავსებდნენ, ფერად სვეტში ,, ფინედუ “ გამოდიოდა . შევთავაზე სახალისო აქტივობაც ,ფოლგის , მონეტის და შავი ფანქრის გამოყენებით ,,დაამზადეს მონეტები“. აქტივობა ძალიან მოეწონათ და სურვილი გამოთქვეს ოჯახის წევრებსაც

	ასწავლონ. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა შეავსეს ,, გასასვლელი ბილეთები“ და დაწერეს რა დაამახსოვრდათ გაკვეთილიდან. გაკვეთილისათვის დაგვჭირდა 80 წუთი. ერთ -ერთ ტრენინგზე ისტ-ის ტრენერმა, ხათუნა მარკოზაშვილმა მომცა ეს პრეზენტაცია (გამოყენების უფლება მაქვს), სამწუხაროდ არ ვიცი ვინ არის ავტორი. სლაიდები შევცვალე ჩემი საჭიროების მიხედვით და ისე გამოვიყენე გაკვეთილზე. კროსვორდი ჩემი შედგენილია. ია და ჭიანჭველები [Auto 
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	დისკუსიის შედეგად მოსწავლეებმა გააკეთეს დასკვნა, რომ უკეთესია ფულის შენახვა ბანკში, რადგან სარგებელიც მოემატებათ და დაცული იქნებიან მოპარვის ან ზედმეტი ,უაზრო ხარჯისგან. დარწმუნდნენ, რომ სახელმძღვანელოს გარდა სხვა წიგნების კითხვაც საინტერესო და სასარგებლოა. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა შეავსეს ,, გასასვლელი ბილეთი“, სადაც ჩაწერეს რა დაამახსოვრდათ გაკვეთილიდან.